საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 220/ს
01/08/2022

220-21-4-202208011704

**თელავის მუნიციპალიტეტში, წინანდლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 120 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თელავის მუნიციპალიტეტში, წინანდლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 120 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს თელავის მუნიციპალიტეტში, წინანდლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. წინანდლის მიმდებარედ, სს „თბილღვინოს“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ზღვის დონიდან 432 მეტრ სიმაღლეზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის ფართობია 0.07 ჰა, ხოლო GPS კოორდინატები: X-551020.50, Y-4640682.22. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 2 კილომეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია სალიცენზიო ჭაბურღილიდან წელიწადში 120 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 5 წელი. ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა შეადგენს 600 000 მ³-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს 1 მეტრის რადიუსზე დაბეტონებას და შემოღობვას, რის შემდგომაც ჭაბურღილიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰიდროლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოადგენს ალაზნის სერიას, რომელშიც 500 მეტრის სიღრმემდე გამოიყოფა ორი წყალშემცველი ჰორიზონტი: ქვედა -გურჯაანის და ზედა - თელავის. თელავის

წყალშემცველ ჰორიზონტს მიეკუთვნება ალაზნის სერიის ზედა ნაწილი. ჰორიზონტი მოიცავს 1-2, ზოგჯერ 3-4 წყალშემცველ ფენას, რომლებიც წარმოდგენილია კენჭნარით, ქვიშის შემავსებლებით, ზოგჯერ კაჭარით, ქვიშებით, კონგლომერატებით, ქვიშნარ-კირქვიანი ცემენტაციით. თელავის ჰორიზონტის წყალშემცველობა არათანაბარია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ჭაბურღილი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდ. კისისხევის მარცხენა ჭალისზედა პირველ ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილია მტკნარი წყლების საექსპლუატაციო პროგნოზული მარაგების შეფასების სტადიაზე. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 200 მეტრს. ალაზნის არტეზიული აუზის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიწისქვეშა წყლების მარაგები დამტკიცებულია A+B+$C_2$ კატეგორიით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ჭაბურღილი არ მიეკუთვნება თვითმდენი ჭაბურღილის ტიპს, ამიტომ მოთხოვნილი 120 000 $მ^3$ წელიწადში წარმოდგენილია $C_2$ კატეგორიით. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ქიმიური შედგენილობით, თელავის ჰორიზონტის წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული, ნატრიუმიან-კალციუმიანი, ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0.3-დან 0.6 გ/ლ-მდე, საერთო სიხისტე 1-10.4 მგ/ექვ, ხოლო pH – 7.5. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა შეადგენს $14^0$C-ს. სანიტარული მდგომარეობის მიხედვით, არტეზიული ჭაბურღილების წყლების ქიმიური და ბაქტერიოლოგიური შემადგენლობა, ასევე ფიზიკური თვისებები აკმაყოფილებს სასმელი წყლის მოთხოვნებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული ტერიტორიების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თელავის მუნიციპალიტეტში, წინანდლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, წელიწადში 120 000 $მ^3$ მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო